სსიპ ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლის

მე-10 კლასის მოსწავლე - გიორგი ნატროშვილი

მოგზაურობა დროში

დღე პირველი

474 წლის 16 ოქტომბერია. საღამო. ცხენს მივაგელვებ. ეს-ესაა ცურტავში შევდივარ და ქარივით მივქრი იმ ციხისკენ, სადაც დედოფალი ჰყავს დატყვევებული ვარსქენ პიტიახშს. დაღამებამდე უნდა მოვასწრო, თორემ თხრილზე ხიდს ასწევენ მეციხოვნეები.

მოვედით, აქოშინებული ცხენიდან ჩამოვდივარ და გულგახეთქილი ალაყაფის კარზე სამჯერ მაგრად ვაბრახუნებ, თან ვყვირი, ვყვირი გაუჩერებლად. როგორც იქნა, კარისკაცმა გამომხედა და გაკვირვებულმა ჩემი შეთვალიერება დაიწყო, მე არც ვაციე, არც ვაცხელე, და ფიცხად შევუძახე: დედოფლის ნახვა მინდა-მეთქი! მტკიცე უარი მითხრა, მაგრამ ისევ და ისევ დაჟინებით და ხმამაღლა ვითხოვდი. უეცრად კარს მიღმა ბერის სილუეტი შევნიშნე. როგორც ჩანს, ხმაურზე გამოგვხედა. ის ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა და ვინაობა მკითხა. მე პირდაპირ ვუთხარი, რომ შორეული მომავლიდან ვიყავი ჩამოსული და დედოფალ შუშანიკის ნახვა მსურდა, რომელიც ვარსქენ პიტიახშს ქრისტეს სიყვარულისთვის ჰყავდა დატყვევებული. ბერმა კარისკაცს სთხოვა, შემოვეშვი. რამდენიმე წუთში ჩვენ ჩირაღდნით განათებულ ციხის ერთ სენაკში ვისხედით და დაბალ ხმაზე ვსაუბროდბით. რაღაცნაირად მამშვიდებდა მისი სახე და გამოხედვა. ის ჩემსავით აღშფოთებული არ იყო, თითქოს ნაწამები დედოფალი აქვე, ყურისძირში, ციხის ყველაზე ცივ და ბნელ სენაკში არ ყოფილიყო გამოკეტილი.

დღე მეორე

თავზე დაგვათენდა. უკვე 474 წლის 17 ოქტომბერია. და ახლაღა შევნიშნე რომ, აქ, წარსულში, შემოდგომა უფრო ცივია, ალბათ,

გლობალური დათბობისდა გამო, ჩვენი ოქტომბრები გაცილებით რბილი და თბილია, ვიდრე ეს სუსხიანი ღვინობისთვე. სუსხი მართლაც ძალიან იკბინება, მაგრამ ახლა მისთვის ვის სცალია, ისეთი ცეცხლივით საუბარია გაჩაღებული. იაკობ ხუცესს ვუთხარი, რომ დანახვისთანვე შევიცანი, ის ხომ ერთადერთი იყო, ვინც არ უშინდებოდა პიტიახშს და ყოველთვის ახერხებდა დედოფლის მონახულებასა და თანადგომას ციხეში. მას არ აკვირვებდა ჩემი წარმომავლობა მომავლიდან, უბრალოდ შორსგანჭვრეტილ კითხვებს მისვამდა და მისმენდა ძალზე მშვიდად. მე ვთხოვდი, დამხმარებოდა, შემეცვალა წარსული, ანუ მისი რეალობა. ვუხსნიდი, რომ შორეულ მომავალში, ანუ ჩვენს დროში უკვე აღარავის აქვს უფლება იძალადოს მოქალაქეზე, რომ ყველა ადამიანი გაჩენის დღიდან სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებითაა დაჯილდოებული. იაკობ ხუცესი დიდხანს

აუღელვებლად მისმენდა, თუმცა ამ ბოლო სიტყვებმა მაინც გააკვირვა და ჩამეძია. მე ხელებს ვშლიდი და ვსაუბრობდი ქალებზე, რომლებიც ჩვენს ეპოქაში ცხოვრობენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩაბმულნი. ამაზე, იაკობმა მიპასუხა:
ჩვენი ზეპურნი დედანიც თავდადებით იღწვიან ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვისო.

- მაგრამ ძალადობა? ძალადობის ფაქტები ხომ არის ამ დროში?
- და თქვენს დროში ასეთი რამ აღარ ხდება?
- არა! - აღფრთოვანებით მივუგე მე და იმ წუთას ჩემი დრო ისე მეამაყებოდა, როგორც სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლე!

- კეთილი, კეთილი! - ჩაილაპარაკა ჩემი პაუსხით ნაამებმა იაკობმა, - ჩანს, მომავალი უფრო შემწყნარებელი და კეთილია. შენი სახელი მითხარი, ჭაბუკო!

დღიური მესამე

- გიორგი! გიორგი! ადექი, სკოლაში გაგვიანდება!
- სად?.. რომელ სკოლაში?.. აქ რა მინდა?..

  25 წუთში სამარშრუტო ტაქსში ვიჯექი და 474 წლიდან 2018-ში გადმოსულს აქაც 17 ოქტომბერი დამხვდა. დედოფალ შუშანიკის ხსენების დღე, როგორც ქართულის მასწავლებელმა გვითხრა წინა კვირას. ემოციებით ვარ დატვირთული. დასამშვიდებლად ტელეფონში ვიქექები და სიახლეებს ვნახულობ, სოციალურ ქსელში ერთ უცნაურ წერილს ვხედავ და კითხვას ვიწყებ. პალესტინელ ქალზეა, რომელიც აზრის თავისუფლების გამო რამდენიმე წელია სასჯელს იხდის. მას ბრალი ედება ქრისტეს სიყვარულში. დაახლოებით ასეთია შინაარსი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიგე. სოციალურ ქსელში მისი გულშემატკივრები დამიანებს მოუწოდებენ შეაგროვონ მილიონი ხელმოწერა... ევროპის ქვეყნები კი თავშესაფარს ჰპირდებიან... გაკვირვებას ვერ ვმალავ... მე ხომ 1544 წლის წინანდელ ადამიანს, სულ ნახევარი საათის წინ ვუმტკიცებდი, რომ ჩვენს დროში ძალადობის მსხვერპლი ქალები არ არსებობდნენ? ... და მე შემრცხვა საკუთარი სიცრუის...